განხილულია პედაგოგიური საბჭოს მიერ 2024 წლის 6 სექტემბერს პირველ სხდომაზე

შპს „მზეკაბანი-2007“-ის საბაზო საფეხურის კურიკულუმი

I. **ზოგადი ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

- **პროგრამის სახელწოდება-ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**
- **პროგრამის განხორციელების ენა-ქართული**
- **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური-საბაზო**
- **განათლების დონე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით**

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. საბაზო საფეხური მოიცავს VII-IX კლასებს. საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეები იღებენ საბაზო საფეხურის ატესტატს და უფლება ეძლევათ სწავლა გააგრძელონ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე ან პროფესიულ სასწავლებელში.

- **სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი: ქალაქი თერჯოლა, რუსთაველის ქუჩა N69**

II. **დეტალური ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

- **საბაზო საფეხურის პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგები, საგნობრივი ჯგუფების მიხედვით**

1. საგნობრივი ჯგუფის დასახელება – სახელმწიფო ენა

საგანი, რომლითაც მიიღწევა განსაზღვრული შედეგი – ქართული ენა და ლიტერატურა
ინფორმაცია კლასისა და სემესტრის/სემესტრების შესახებ – VII-IX კლასები; 2 სემესტრი
საფეხურის მისაღწევი შედეგები –საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლემ უნდა შეძლოს:

1.1 ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;

1.2 ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა;

1.3 ტექსტის ჟანრობრივი და კომპოზიციური ელემენტების გააზრება მთლიანი ტექსტის ფარგლებში;

1.4 ტექსტის კრიტიკული გააზრება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით;

1.5. ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ., ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით);

1.6 ერთსა და იმავე თემაზე/საკითხზე, პრობლემატიკაზე შექმნილი სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტების შედარება, მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებებზე სხვადასხვა კუთხით (მაგ., ტიპობრივი, ჟანრობრივი, ინტერტექსტობრივი მიმართებების) და სათანადო დასკვნის გამოტანა;

1.7 საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება;

1.8 სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს);

1.9 ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით(ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს);

1.10 სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს);

1.11 ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და აღეკვატურად გამოყენება;

1.12 სწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით.

2.საგნობრივი ჯგუფის დასახელება - მათემატიკა

საგანი, რომლითაც მიიღწევა განსაზღვრული შედეგი - მათემატიკა.
ინფორმაცია კლასისა და სემესტრის/სემესტრების შესახებ - მათემატიკა -VII-IXკლასები;2 სემესტრი.
საფეხურის მისაღწევი შედეგები მათემატიკაში: საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მათემატიკაში მოსწავლემ უნდა შეძლოს:
2.1 მათემატიკური ან სხვა საგნებიდან მომდინარე ამოცანების განხილვისას ჰიპოთეზების ჩამოყალიბება, მათი მართებულობის დადგენა ან უარყოფა;

2.2 მსჯელობის ხაზის განვითარება; განზოგადებით ან დედუქციით მიღებული დასკვნების დასაბუთება.

2.3 რაოდენობრივი, ლოგიკური მსჯელობა;მათემატიკური ობიექტების განსაზღვრებებისა და ვისებების სწორად ჩამოყალიბება; მათემატიკური ტერმინების, აღნიშვნებისა და სიმბოლოების კორექტულად და ლოგიკურად გამოყენება;

2.4 მათემატიკურ დებულებათა ფორმულირების ხერხების კორექტულად გამოყენება;

2.5 მათემატიკურ იდეებს შორის კავშირის დადგენა. მათემატიკისა და სხვა საგნებს შორის კავშირების დადგენა. კანონზომიერების აღმოჩენა;

2.6 გრაფიკულად გადმოცემული მათემატიკური შინაარსის ინფორმაციის წაკითხვა; მათემატიკური ობიექტების გრაფიკული ხერხით (გრაფიკების, დიაგრამების და ნახაზების სახით) წარმოდგენა;

2.7 ყოველდღიურ ცხოვრებაში, არსებული ობიექტებისა და პროცესების მათემატიკური ფორმულირება, წარმოდგენა გამოსახულების, განტოლების, გრაფიკის სახით. მათემატიკური მოდელის შექმნა და არსებული რეალური საკითხის აღნიშნული გზით გადაჭრა.

კვლევის დაგეგვმა, პროცედურის, მონაცემების აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა, სათანადო რესურსების შერჩევა);

2.8 ამოცანის შინაარსის აღქმა, ამოცანის მონაცემებისა და საძიებელი სიდიდეების გააზრება–გამიჯვნა, პრობლემის გამოკვეთა და მისი ჩამოყალიბება;

2.9 კომპლექსური (რთული) პრობლემის საფეხურებად, მარტივ ამოცანებად დაყოფა და ეტაპობრივად გადაჭრა/ამოხსნა;

2.10 ამოცანის ამოხსნის შემდეგ მიღებული შედეგის კრიტიკული შეფასება, ანალიზი,ამოცანის კონტექსტის გათვალისწინებით;

2.11 ტექნოლოგიების გამოყენება მათემატიკური პრობლემის ამოხსნითვის. ტექნოლოგიების გამოყენებით საკითხის ვიზუალური წარმოდგენა, მოდელის შექმნა. კომპიუტერული აპლიკაციების გამოყენება მათემატიკური პრობლემის გადაჭრისთვის.

3. **საგნობრივი ჯგუფის დასახელება** – უცხოური ენები

საგნები, რომლებითაც მიიღწევა განსაზღვრული შედეგი – პირველი უცხოური ენა, მეორე უცხოური ენა.
ინფორმაცია კლასისა და სემესტრის/სემესტრების შესახებ – პირველი უცხოური ენა; VII–IXკლასი; 2 სემესტრი. მეორე უცხოური ენა;VII–IXკლასი; 2 სემესტრი.
საფეხურის მისაღწევი შედეგები პირველ უცხოურ ენაში –საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ ინგლისურ ენაშიმოსწავლემ უნდა შეძლოს:

3.1.1 ტექსტის გაგება–გააზრება ნასწავლი ენობრივ–გრამატიკული, სტრუქტურული და ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენებით;

3.1.2 ტექსტის გაგებამდე, გაგების პროცესში და გაგების შემდგომ შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება ტექსტის გაგება–გააზრების პროცესებისა და ენობრივ–გრამატიკული ცოდნის გაუმჯობესების ხელშესაწყობად;

3.1.3 ტექსტის გააზრებისას, კომუნიკაციისას წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება, მათი გადაჭრის გზების დადგენა (სწავლის პროცესის მართვა – მეტაკოგნიტური სტრატეგია);

3.1.4 ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციებში ზეპირი კომუნიკაციის დამყარება ნასწავლი სამეტყველო მოქმედებებისა და ენობრივ–გრამატიკული ცოდნის გამოყენებით;

3.1.5 ზეპირი კომუნიკაციის დამყარებამდე და კომუნიკაციის დროს შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად;

3.1.6 საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი წერითი ტექსტის შექმნა ენობრივ–გრამატიკული, შინაარსობრივი, სტრუქტურული თუ ჟანრობრივი მახასიათებლების დაცვით, საბოლოო ვარიანტის სათანადოდ გაფორმება;

3.1.7 წერამდე, წერის დროს და წერის შემდგომ ფაზებში შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება წარმატებული წერითი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად;

3.1.8 ზეპირი და წერითი კომუნიკაციისას წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება, მათ გადასალახად სამოქმედო გეგმის შედგენა (სწავლის პროცესის მართვა – მეტაკოგნიტური სტრატეგია);

3.1.9 ტექსტებსა და კონტექსტებში ასახული სოციოკულტურული და კულტურული თვითმყოფადობის გამომხატველი რეალიების ამოცნობა, მშობლიურთან შედარება, მსგავსება–განსხვავებების გამოვლენა და კომუნიკაციისას გათვალისწინება;

3.1.10 კულტურათშორისი დიალოგის ხელშემწყობი ინიციატივების გამოვლენა და რეალიზება, სოციოკულტურული თავისებურებების დაფასება და გაზიარება.

საფეხურის მისაღწევი შედეგები მეორე უცხოურ ენაში –საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მეორე უცხოურ ენაში მოსწავლემ უნდა შეძლოს:

3.2.1 ტექსტის გაგება–გააზრება ნასწავლი ენობრივ–გრამატიკული, სტრუქტურული და ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენებით;

3.2.2 ტექსტის გაგებამდე, გაგების პროცესში და გაგების შემდგომ შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება ტექსტის გაგება–გააზრების პროცესებისა და ენობრივ–გრამატიკული ცოდნის გაუმჯობესების ხელშესაწყობად;

3.2.3 ტექსტის გააზრებისას, კომუნიკაციისას წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება, მათი გადაჭრის გზების დადგენა (სწავლის პროცესის მართვა – მეტაკოგნიტური სტრატეგია);

3.2.4 ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციებში ზეპირი კომუნიკაციის დამყარება ნასწავლი სამეტყველო მოქმედებებისა და ენობრივ–გრამატიკული ცოდნის გამოყენებით;

3.2.5 ზეპირი კომუნიკაციის დამყარებამდე და კომუნიკაციის დროს შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად;

3.2.6 საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი წერითი ტექსტის შექმნა ენობრივ–გრამატიკული, შინაარსობრივი, სტრუქტურული თუ ჟანრობრივი მახასიათებლების დაცვით, საბოლოო ვარიანტის სათანადოდ გაფორმება;

3.2.7 წერამდე, წერის დროს და წერის შემდგომ ფაზებში შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება წარმატებული წერითი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად;

3.2.8 ზეპირი და წერითი კომუნიკაციისას წარმოქმნილი პრობლემების გაანალიზება, მათ გადასალახად სამოქმედო გეგმის შედგენა (სწავლის პროცესის მართვა – მეტაკოგნიტური სტრატეგია);

3.2.9 ტექსტებსა და კონტექსტებში ასახული სოციოკულტურული და კულტურული თვითმყოფადობის გამომხატველი რეალიების ამოცნობა, მშობლიურთან შედარება, მსგავსება–განსხვავებების გამოვლენა და კომუნიკაციისას გათვალისწინება;

3.2.10 კულტურათშორისი დიალოგის ხელშემწყობი ინიციატივების გამოვლენა და რეალიზება, სოციოკულტურული თავისებურებების დაფასება და გაზიარება.

4. საგნობრივი ჯგუფის დასახელება – საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგნები, რომლებითაც მიიღწევა განსაზღვრული შედეგი – ისტორია,გეოგრაფია,სამოქალაქო განათლება

ინფორმაცია კლასისა და სემესტრის/სემესტრების შესახებ – ისტორია VII–IX; 2 სემესტრი. გეოგრაფია VII–IX; 2 სემესტრი. მოქალაქეობა VII–IX; 2 სემესტრი.

საფეხურის მისაღწევი შედეგები – საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ ისტორიაში მოსწავლემ უნდა შეძლოს:

4.1.1საკუთარი მოსაზრების/პოზიციის წყაროს/მტკიცებულების საფუძველზე დასაბუთება; იმის გაცნობიერება, რომ ახალი წყაროების აღმოჩენის შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერი მოვლენის ახლებურად გააზრება/გადაფასება;

4.1.2 სხვადასხვა ტიპის (პირველადი და მეორადი) წყაროსა და თვალსაჩინოებების (მაგ, ისტორიული რუკა, გენეალოგიური ტაბულა) მიზნის შესაბამისად გამოყენება; წყაროების კრიტიკული ანალიზი;
4.1.3 ისტორიული მოვლენების გადმოცემისას ქრონოლოგიური ერთეულებისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების ადეკვატური გამოყენება;
4.1.4. ისტორიული მოვლენის/ფაქტების ტიპოლოგიური დაჯგუფება (პოლიტიკური, სოციალური ნიშნით);
4.1.5 ფაქტების, ინტერპრეტაცია/მოსაზრებების და სტერეოტიპების ერთმანეთისგან გარჩევა;

4.1.6 ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის განსხვავებულად ინტერპრეტირება, გაანალიზება და შეფასება: ისტორიულ მოვლენაზე და პიროვნებაზე განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობის მიზეზების ახსნა, განსხვავებული ინტერპრეტაციების შედარება და შეფასება;

4.1.7 ისტორიული ეპოქის მახასიათებლების (სოციალურ-კულტურული განვითარება, რელიგია და მსოფლმხედველობა, სახელმწიფოებრივი განვითარება და პოლიტიკა) გამოყოფა, ეპოქის უნიკალურობის ჩვენება;

4.1.8 ისტორიული მოვლენების და პროცესების დანახვა/შეფასება კონკრეტულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების თვალით;

4.1.9 კონკრეტული მაგალითების მოშველიებით ისტორიული მოვლენებისა და პროცესების მსგავსება-განსხვავებებზე მსჯელობა;

4.1.10 ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიან კონტექსტში გააზრება;

4.1.11 პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ;

4.1.12 ისტორიული მაგალითების მოშველიებით სახელმწიფოებრივი აზროვნებისა (პატრიოტიზმი) და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, მონაწილეობა) საჭიროების დასაბუთება.

საფეხურის მისაღწევი შედეგები - საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ გეოგრაფიაში მოსწავლემ უნდა შეძლოს:
4.2.1 პირობითი აღნიშვნების გამოყენებითსხვადასხვა შინაარსის რუკისკითხვადაანალიზი;

4.2.2 სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტი ადგილმდებარეობის განსაზღვრა ადგილსა და რუკაზე;

4.2.3 სხვადასხვატიპის წყაროდან (რუკა, ფოტო, ცხრილი, გრაფიკი, დიაგრამა, აერო და კოსმოსური სურათები, მულტიმედიასაშუალებები) ინფორმაციისამოკითხვადა გაანალიზება; კვლევის შედეგების ცხრილების, გრაფიკების და დიაგრამების სახით წარმოდგენა;

4.2.4 გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ნოოსფერო, დედამიწის შინაგანი აგებულება) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება;

4.2.5 შინაგანი და გარეგანი ძალების დაკავშირება დედამიწის თანამედროვე სახის ჩამოყალიბების პროცესთან;

4.2.6 გეოგრაფიული აღმოჩენების მნიშვნელობის გააზრება საზოგადოების განვითარებისთვის;

4.2.7 ბუნებრივიპირობებისა და რესურსების ზეგავლენისგაანალიზებამოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასადაცხოვრებისწესზე;

4.2.8 მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლების (ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა, სტრუქტურა, სიმჭიდროვე, განსახლება) ცვალებადობის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების გააზრება;

4.2.9 ცალკეული გეოგრაფიული ერთეულების (კონტინენტი, რეგიონი, ბუნებრივი ზონა, ლანდშაფტი) კომპლექსურიდახასიათება;

4.2.10 გარემოსადმიმზრუნველიდამოკიდებულებისგამოვლენა;

4.2.11 მდგრადიგანვითარების გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის გააზრება მოსახლეობის კეთილდღეობისთვის;

4.2.12 გარემოზე ადამიანის საქმიანობის (ანთროპოგენურიზემოქმედების) შედეგებისშეფასება;

4.2.13 სხვადასხვასახის ბუნებრივი კატასტროფის ნიშნების ამოცნობა; წარმოქმნის მიზეზების გაანალიზება; მათი თავიდან აცილებისთვის/ზიანის შერბილებისთვის საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობის გააზრება; უსაფრთხოქცევისწესებისდაცვა.

საფეხურის მისაღწევი შედეგები – საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოქალაქეობაში მოსწავლემ უნდა შეძლოს:
4.3.1 საკუთარი შეხედულებების, ქცევების შეფასება და კორექტირება, ემოციების მართვა (თვითრეფლექსია);
4.3.2 საკუთარი თავის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მაგალითად, სასკოლო თემის) წევრად აღქმა;

4.3.3 საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება–მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა;

4.3.4 დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება;

4.3.5 მოკლედაგრძელვადიანიმიზნებისდასახვა; იდეების ჩამოყალიბება, ინიციატივის გამოვლენა და მისი განხორციელებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა;

4.3.6. მომავალი პროფესიის შერჩევისთვის საკუთარი შესაძლებლობების, მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გააზრება;

4.3.7 ასაკის შესაბამისი ფინანსური უნარ–ჩვევების (მაგ., პირადი ფინანსების დაგეგმვა და პასუხისმგებლობით განკარგვა) გამოვლენა.

4.3.8 სამოქალაქო აქტივობებში მოხალისეობის საფუძველზე ჩართულობის მნიშვნელობის გაცნობიერება და დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე მოქმედების საჭიროების დანახვა;

4.3.9 საზოგადოებისა და ქვეყნისთვის აქტუალური პრობლემების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა; კონფლიქტების არაძალადობრივი გზებით მოგვარება;

4.3.10 მდგრადი განვითარების პრინციპების გააზრება და მათ საფუძველზე მოქმედება;

4.3.11 ცხოვრებისეულ და საგანგებო (ბუნებრივი და ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეულ) ვითარებაში უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება;

4.3.12 სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა (ინფორმაციის მოპოვება, ლობირება, ადვოკატირება, ადვოკატირების გზით ხელისუფლების ანგარიშვალდებულება და მონიტორინგი);

4.3.13 საკუთარი გადაწყვეტილებების/შეხედულებების უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების (საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვის უფლებების კონვენცია) საფუძველზე დასაბუთება.

5. საგნობრივი ჯგუფის დასახელება – საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საგნები, რომლითაც მიიღწევა განსაზღვრული შედეგი –ბიოლოგია,ფიზიკა, ქიმია.

ინფორმაცია კლასისა და სემესტრის/სემესტრების შესახებ
ბიოლოგია -VII- IX კლასები;2 სემესტრი.
ფიზიკა - VII-IX კლასები; 2 სემესტრი.
ქიმია - VIII- IX კლასები;2 სემესტრი.
საფეხურის მისაღწევი შედეგები- საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ ბიოლოგიაშიმოსწავლემ უნდა შეძლოს:
5.1.1სიცოცხლის ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზემყოფი ცოცხალი სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციის დახასიათება;

5.1.2 ორგანიზმების საერთო სასიცოცხლო თვისებების დახასიათება და მათში მიმდინარე ენერგიისა და ნივთიერებების გარდაქმნებზე არგუმენტირებული მსჯელობა;

5.1.3 ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მისი ცვლილების მნიშვნელობის გააზრება;

5.1.4 ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერება და მისი დაცვა;

5.1.5 ბიოლოგიური ობიექტების/პროცესის შესწავლის მიზნითკვლევის დაგეგმვა;

5.1.6 ბიოლოგიური ობიექტების/პროცესების კვლევისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება;

5.1.7 თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების სხვადასხვა ფორმით ჩაწერა და ორგანიზება;მონაცემების ორგანიზებისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;

5.1.8 მონაცემების გაანალიზება და არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა;

5.1.9 მოდელების შექმნა და გამოყენება ცოცხალი სისტემების სტრუქტურისა და ბიოლოგიური პროცესების საჩვენებლად;

5.1.10 კვლევის ჩატარებისას უსაფრთხოების წესების დაცვა;

5.1.11 საბუნებისმეტყველომეცნიერებებისადატექნოლოგიებისმიღწევების შეფასებამდგრადიგანვითარებისპრინციპების თვალსაზრისით;

5.1.12 საბუნებისმეტყველომეცნიერებებისა დატექნოლოგიებისმიღწევებისყოველდღიურობასთანდაკავშირება;

5.1.13 საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან დაკავშირება.

საფეხურის მისაღწევი შედეგები- საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ ფიზიკაში მოსწავლემ უნდა შეძლოს:
5.2.1 მატერიისდახასიათებამისიფიზიკურითვისებებისმიხედვით;
5.2.2 სხეულთაურთიერთქმედებაზედაურთიერთქმედებისშედეგებზეარგუმენტირებულიმსჯელობა;
5.2.3 ენერგიისსახეებისდახასიათებადამათურთიერთგარდაქმნაზეარგუმენტირებულიმსჯელობა;
5.2.4 ფიზიკურიმოვლენებისშესწავლისმიზნითკვლევის (ცდა, ექსპერიმენტი) დაგეგმვა (ჰიპოთეზებისშემუშავება, დამოკიდებულიდადამოუკიდებელიცვლადებისგანსაზღვრა, კვლევისპროცედურის, მონაცემებისაღრიცხვისფორმებისგანსაზღვრა, სათანადორესურსებისშერჩევა);

5.2.5
ფიზიკურიპროცესებისადაკანონზომიერებებისკვლევისათვისსაჭიროპროცედურებისგანხორციელება (დაკვირვება, გაზომვა, მონაცემებისაღრიცხვა, შესაბამისიმასალისადააღჭურვილობისადეკვატურადგამოყენება);

5.2.6 თვისებრივიდარაოდენობრივიმონაცემებისსხვადასხვაფორმით (ცხრილებით, დიაგრამებით, გრაფიკებითდასხვ.) ჩაწერადაორგანიზება; მონაცემებისორგანიზებისთვისინფორმაციულ-საკომუნიკაციოტექნოლოგიებისგამოყენება;

5.2.7 მონაცემებისგაანალიზებადაარგუმენტირებულიმსჯელობისსაფუძველზედასკვნებისგამოტანა, ცვლადებსშორისდამოკიდებულებისაღსაწერადდიაგრამებისადაგრაფიკებისგამოყენება;

5.2.8 მოდელებისშექმნადაგამოყენებაფიზიკურიმოვლენების/ კანონზომიერებებისსაჩვენებლად;

5.2.9 ცდისადაექსპერიმენტისდაგეგმვისადაჩატარებისასუსაფრთხოებისწესებისდაცვა;

5.2.10 ფიზიკისადატექნოლოგიებისმიღწევებისშეფასებამდგრადიგანვითარებისპრინციპებისთვალსაზრისით;

5.2.11 ფიზიკისადატექნოლოგიებისმიღწევებისყოველდღიურობასთანდაკავშირება;

5.2.12 ფიზიკისსხვადასხვაპროფესიასთანდაკავშირება.

საფეხურის მისაღწევი შედეგები- საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ ქიმიაში მოსწავლემ უნდა შეძლოს:
5.3.1 ნივთიერებათაკლასიფიცირებამათიშედგენილობის,ფიზიკურიდაქიმიურითვისებებისმიხედვით;
5.3.2 ნივთიერებათა თვისებების დაკავშირება მათი მოლეკულების შედგენილობაში შემავალი ატომების ელექტრონულ აღნაგობასთან და ქიმიური ბმის ხასიათთან;
5.3.3 ელემენტთაპერიოდულიცხრილისორგანიზებისპრინციპისგამოყენებაკონკრეტული ამოცანების გადაჭრისთვის;
5.3.4 ფიზიკურიდაქიმიურითვისებებისა და მოვლენებისდახასიათება, ერთმანეთისგანგანსხვავებადასხვადასხვასახისქიმიურირეაქციისაღწერა;
5.3.5 ფიზიკურიდაქიმიურიმოვლენებისრაოდენობრივი დახასიათება;
5.3.6 ქიმიური პროცესების კვლევის მიზნით კვლევის დაგეგმვა;
5.3.7 ქიმიური მოვლენების კვლევისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება;
5.3.8 თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების სხვადასხვა ფორმით ჩაწერა და ორგანიზება;მონაცემების ორგანიზებისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
5.3.9 მონაცემების გაანალიზება და არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა;

5.3.10 მოდელების შექმნა და გამოყენება ქიმიური პროცესის, მოვლენის, ნაერთების გარდაქმნის საჩვენებლად;

5.3.11 კვლევის ჩატარებისას უსაფრთხოების წესების დაცვა;

5.3.12 საბუნებისმეტყველომეცნიერებებისდატექნოლოგიებისმიღწევების შეფასებამდგრადიგანვითარებისპრინციპების თვალსაზრისით;

5.3.13 საბუნებისმეტყველომეცნიერებებისდატექნოლოგიებისმიღწევებისყოველდღიურობასთანდაკავშირება;

5.3.14 საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სხვადასხვა პროფესიასთან დაკავშირება.

6. საგნობრივი ჯგუფის დასახელება - ესთეტიკური აღზრდა

საგნები, რომლითაც მიიღწევა განსაზღვრული შედეგი - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა
ინფორმაცია კლასისა და სემესტრის/სემესტრების შესახებ -სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-IXკლასები;2 სემესტრი. მუსიკა VII-IXკლასები;2 სემესტრი.

საფეხურის მისაღწევი შედეგები -საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მოსწავლემ უნდა შეძლოს:
6.1.1 ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითადგამოყენება.

6.1.2 ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი;

6.1.3 ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი(მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაციადა შეფასება;

6.1.14 სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალურიდა კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

საფეხურის მისაღწევი შედეგები - საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მუსიკაში მოსწავლემ უნდა შეძლოს:
6.2.1 სხვადასხვა რიტმული, ინტონაციური ფორმულებისა და სხვა მუსიკალური ელემენტების გამოყენება იმპროვიზაციის დროს;

6.2.2 მარტივი მუსიკალური ფორმებით, საკუთარი ან სხვისი მუსიკალური მასალით მხატვრული იდეის გადმოცემა;

6.2.3 სხვადასხვა სიმბოლოს გამოყენებით კომპოზიციების ჩაწერა;

6.2.4 ნაწარმოების მოსმენისას მუსიკის გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და მხატვრული სახის შექმნაში მათი როლის განსაზღვრა;

6.2.5 აკადემიური და ხალხური მუსიკის ნიმუშებში მხატვრული კონცეფციის განსაზღვრა.

7. საგნობრივი ჯგუფის დასახელება - ფიზიკური აღზრდა და სპორტი

საგანი, რომლითაც მიიღწევა განსაზღვრული შედეგი - ფიზიკური აღზრდა და სპორტი
ინფორმაცია კლასისა და სემესტრის/სემესტრების შესახებ - VII-IXკლასები;2 სემესტრი
საფეხურის მისაღწევი შედეგები - საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტშიმოსწავლემ უნდა შეძლოს:
7.1 ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობის (როგორც ჯანმრთელობის განმტკიცებისა და სოციალიზაციის ხელშემწყობი საშუალების) მნიშვნელობის გაცნობიერება;

7.2 სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობების საშუალებით ორგანიზებულობის განვითარება;

7.3 სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში თვითკონტროლის (მაგალითად: ემოციების მართვა, დისციპლინის, უსაფრთხოების, ძირითადი წესებისა, სამართლიანი თამაშის წესების დაცვა) გამოვლენა;

7.4 ტექნიკური ელემენტების (მაგალითად: გადაცემა, ტყორცნა, მიღება, დარტყმა, ჩაწოდება/მოწოდება, გათამაშება, ტარება, გადაადგილება, დგომი) განვითარება;

7.5 ფიზიკური თვისებების (მაგალითად: ძალა, სისწრაფე, მოქნილობა, გამძლეობა, სიმარჯვე) განვითარება.

- **საათობრივი ბადე**

საათობრივიბადესაბაზოსაფეხურისთვის

	კლასები	**VII კლასი**		**VIII კლასი**		**IX კლასი**	
	საგნები	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**
	სახელმწიფოენა						
1	ქართულიენადალიტერატურა	5	5	5	5	5	5
	მათემატიკა						
2	მათემატიკა	5	5	5	5	5	5
	უცხოურიენები						
3	პირველიუცხოურიენა	3	3	3	2	2	2
4	მეორეუცხოურიენა	2	2	2	2	2	2
	საზოგადოებრივიმეცნიერებები						
5	ისტორია	2	2	2	3	3	3
6	გეოგრაფია	2	2	2	2	2	2
7	მოქალაქეობა	2	2	1	1	2	2
	საბუნებისმეტყველომეცნიერებები						
8	ბიოლოგია	2	2	2	2	2	2
9	ფიზიკა	2	2	2	2	2	2
10	ქიმია			2	2	2	2
	ესთეტიკურიაღზრდა						
11	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	2	1	1	2
12	მუსიკა	2	2	1	2	2	1
	სპორტი						
13	ფიზიკურიაღზრდადასპორტი	2	2	2	2	2	2
14							
სულსაათებისრაოდენობა		31	31	31	31	32	32

- **მოსწავლის შეფასების პრინციპები, მიზნები და ამოცანები**

1. მოსწავლისშეფასების მთავარი მიზანიასწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის მართვა.
2. შეფასებაარისსწავლა-სწავლებისგანუყოფელინაწილი.
3. შეფასების პროცესში მოსწავლე განიხილება ცნობისმოყვარე, საკუთარი ინტერესების, ხასიათისა და გამოცდილებების მქონე ინდივიდად, რომელსაც უნდა ჰქონდეს მრავალფეროვანი არეალი მოქმედებისა და უკუკავშირისთვის.
4. შეფასების ძირითადი ამოცანებია:
ა) მოსწავლისმიღწევებისდიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად;
ბ) მოსწავლის მიღწევების / სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნა;
გ) მონაცემების შექმნა მტკიცებულებებზე დაფუძნებულიგადაწყვეტილებებისმისაღებად სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
5. შეფასება შეიძლება იყოს: განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
6. განმავითარებელი შეფასება:
ა) აჩვენებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას/პროგრესს;
ბ) ქმნის მხარდაჭერის მექანიზმს მოსწავლის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის. მოსწავლე განმავითარებელი შეფასების აქტიური მონაწილეა და ჩართულია შეფასებისთვის რელევანტური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების პროცესში.
7. განმსაზღვრელიშეფასებაადგენსმოსწავლისმიღწევისდონესსაგნობრივისასწავლოგეგმისშედეგებთანმიმართებით.
8. განმსაზღვრელი შეფასება უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბებას. განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტებია: საშიანო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება.
9. საკლასო შეფასების ფორმატში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით:

ქულები	შეფასებისდონეები	შეფასების დონეების აღწერა
10 9	მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.
8 7	საშუალოზემაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.
6 5	საშუალო	მოსწავლე მსჯელობს საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.
4 3 2 1	დაბალი	მოსწავლის მსჯელობა საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია.

10. VII-IX კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება.

11. განმსაზღვრელი შეფასება შეიძლება იყოს დიფერენცირებული და არადიფერენცირებული და შეიძლება განხორციელდეს საკლასო და სისტემურ დონეზე (ერთიანიეროვნულიგამოცდები, ეროვნულიშეფასება, სტანდარტიზებულიტესტები, PISA, PIRLS, TIMMS).
12. არადიფერენცირებული შეფასება (ჩათვლა) გამოიყენება სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებში, არჩევით საგნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით შეთავაზებულ საგნებში.
13. განმსაზღვრელი შეფასება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს განმავითარებელი მიზნებისთვისაც.
14. ზოგადსაგანმანათლებლოსისტემაშიგამოიყენებაგანმსაზღვრელიშეფასებისშემდეგისახეობები:
ა) საგნისსემესტრულიქულა – საგანშიმიღებულიშეფასებათითოეულსემესტრში; სემესტრული ქულა გამოითვლება მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; სემესტრული ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით. სემესტრული ქულის ამაღლება უნდა დარეგულირდეს სასკოლო სასწავლო გეგმით;

ბ) საგნისწლიურიქულა – სემესტრულიქულებიდანგამომდინარეშეფასებასაგანში. წლიური ქულა გამოითვლება საგნის სემესტრის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;

გ) საგნის საფეხურის ქულა - საფეხურის განმავლობაში თითოეულ კლასში მიღებული საგნის წლიური ქულის საშუალო არითმეტიკული;

დ) საფეხურის ქულა გამოითვლება საგნების საფეხურის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

- **კლასის და საფეხურის დაძლევა**

1. სკოლაში კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ თითოეული საგნის წლიური ქულა არის 5.0 ან მეტი და არადიფერენცირებული შეფასების შემთხვევაში მოსწავლეს მიღებული აქვს "ჩათვლა". დაძლეული კლასის განმეორებით გავლა დაუშვებელია.
2. თუმოსწავლესკლასში რომელიმე საგანში აქვს 5.0-ზედაბალი წლიური შეფასება, სკოლა ვალდებულია, მოსწავლეს შესთავაზოს რემედიაციის პროგრამა საშემოდგომო გამოცდის ჩატარებამდე. რემედიაციის პროგრამა სპეციალურად იქმნება კონკრეტული მოსწავლისთვის სასწავლო პროცესში გამოკვეთილი შეფერხებების აღმოფხვრის მიზნით.
3. საშემოდგომო გამოცდის წესსა და პროცედურას განსაზღვრავს თავად სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით.
4. რემედიაციის პროგრამაში ჩართული მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მიმღები სკოლა მოსწავლეს რიცხავს ასაკის შესაბამის კლასში და იღებს ვალდებულებას რემედიაციის გზით საგნის/საგნების დაძლევის თაობაზე.
5. რემედიაციის პროგრამა დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმის სახით სკოლამ უნდა შესთავაზოს იმ მოსწავლეებსაც, რომლებიც არიან სკოლის მიღმა ან იმყოფებიან სკოლის მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ. კურიკულუმის შინაარსს განსაზღვარავს თავად სკოლა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით.
6. გამონაკლისშემთხვევაში, დასაშვებია,სსსმმოსწავლესარჰქონდესსემესტრულიშეფასებაერთანრამდენიმესაგანში.
გამონაკლისიდაიშვებამულტიდისციპლინურიგუნდისდასკვნისსაფუძველზე.
გამონაკლისშემთხვევაშიმოსწავლისსაგნისსემესტრულიქულაწარმოადგენსსაგნისწლიურქულას.
თუსსსმმოსწავლერომელიმესაგანშიმოცემულსემესტრშიარფასდება,
ესხელსარუშლისმასგადავიდესმომდევნოკლასში.
7. თუ საბაზოსაფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

8.თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.
9. სკოლა ვალდებულიასაჭიროებისამებრ შინსწავლებისრეჟიმზეგადაიყვანოსმოსწავლე. შინ სწავლების წესსა და პირობებს განსაზღვრავს სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი უნდა ემსახურებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზებას.

- **სწავლა-სწავლების პრინციპები**

ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები რეალიზდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- სიღრმისეული სწავლა;
- პოზიტიური სასწავლო გარემო;
- ინკლუზიური განათლება.

სიღრმისეული სწავლა

მოიაზრებს 5 კომპონენტს:

1. მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება;
2. ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება;
3. ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება;
4. სწავლის სტრატეგიების დაუფლება (სწავლის სწავლა);
5. მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის შეძენა.

მნიშვნელოვანია ასევე პოზიტიური სასწავლო გარემო,სადაც მოსწავლე თავს გრძნობს ემოციურად დაფიზიკურად უსაფრთხოდ, ასევე ახერხებს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამოვლენა-განვითარებას.

სწავლამრავალმხრივიფენომენია, რომელსაცგანსაზღვრავსსხვადასხვაასპექტი,მათშორისმნიშვნელოვანიაშინაგანიფაქტორები – ინტერესი, მოტივაციადადამოკიდებულებები.მოსწავლის შანაგანი მოტივაციის გასააქტიურებლად მასწავლებლები ქმნიანსწავლა-სწავლებისპროცესისათვისშესაფერის სასწავლოგარემოს. სწავლების პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანირესურსები, სასწავლოსტრატეგიები, მეთოდებიდადავალებები. მასწავლებლები კავშირებს ამყარებენ ყოფითცხოვრებასთან. ეს იწვევსმოსწავლეთადაინტერესებასშესასწავლისაკითხისმიმართდაშინაგანიმოტივაციისაღძვრას, რაცგანაპირობებსსწავლისპროცესითმიღებულკმაყოფილებას. ეს ყველაფერიხელსუწყობსმოსწავლეშითანამედროვე, 21-ესაუკუნისადამიანისათვისსაჭიროუნარ-ჩვევებისგანვითარებასადამოაზროვნეკონკურენტუნარიანიპიროვნებისჩამოყალიბებას.
სკოლაში ახალი ცოდნის მიღება ხდება მისი წინარე ცოდნაზე დაშენებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას და ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებითა და დავალებების მოსწავლეთა საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მორგებით მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეს, გაიაზრონ და თავად წარმართონ საკუთარი სწავლის პროცესი.

პოზიტიური სასწავლო გარემო

სკოლაში შექმნილია პოზიტიური, წამახალისებელი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეები თავს გრძნობენ დაცულად, აღიარებულად და დაფასებულად. მათი იდეები წახალისებულია, ხოლო ინიციატივები მხარდაჭერილი.

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრადხელმისაწვდომსაგანმანათლებლოპროცესს, რომლისფარგლებშიცყველამოსწავლისთვისუზრუნველყოფილიაგანათლებისინდივიდუალურისაგანმ ანათლებლოსაჭიროებისადაშესაძლებლობისგათვალისწინებითმიღება.

სპეციალურისაგანმანათლებლოსაჭიროებისმქონემოსწავლე

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (შემდგომში – სსსმ) არის მოსწავლე,რომელიცარის „შეზღუდულიშესაძლებლობისმქონეპირთაუფლებებისშესახებ“ საქართველოსკანონითგანსაზღვრულიშეზღუდულიშესაძლებლობისმქონეპირი, აგრეთვემოსწავლე, რომელიცსასწავლოპროცესშიდამატებითმხარდაჭერასსაჭიროებს, აქვსსწავლასთანან/დასასწავლოგარემოსხელმისაწვდომობასთანდაკავშირებულიმნიშვნელოვანი, გახანგრძლივებულისირთულეებიან/დაეროვნულისასწავლოგეგმითგათვალისწინებულმოთხოვნებს მინიმალურდონეზეევერაკმაყოფილებს;
2. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:
ა) ფიზიკური შეზღუდვა;
ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
გ) სწავლის უნარის დარღვევა;
დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
ე) მეტყველების განვითარების დარღვევა;
ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.
ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.
3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომში – მულტიდისციპლინური გუნდი) შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, ასევე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება. ადაპტაციის სახეებია: მოდიფიკაცია, აკომოდაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ალტერნატიული სასწავლო მიზნები, ალტერნატიული სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა.
4. სსსმ მოსწავლის ყოლის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას, სასწავლო გარემოს აკომოდაციას და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას.
5. მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისებრივ ცვლილებებს, რაც შესაძლებელია გულისხმობდეს სასწავლო მიზნების რაოდენობრივ შემცირებას, გამარტივებას მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
7. სასწავლო გარემოს აკომოდაცია ნიშნავს სასწავლო გარემოს ისეთი ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის შეცვლას, არამედ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შექმნას ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებში:
ა) ინსტრუქციის აკომოდაცია;
ბ) გარემო პირობების აკომოდაცია;

გ) შეფასების აკომოდაცია;
დ) დროის, გრაფიკის აკომოდაცია.
8. ალტერნატიულისასწავლომიზნებისშემუშავებახდებამძიმე, ღრმადამრავლობითიდარღვევისმქონემოსწავლეებისთვის, თუშეუძლებელიაეროვნულისასწავლოგეგმითგანსაზღვრულიზოგიერთისაგნისსწავლება. ალტერნატიულისასწავლოგეგმაგონებრივიგანვითარებისმძიმედამრავლობითიდარღვევებისმქონემოსწავლეებისთვისარის დოკუმენტი, რომელიცმოიცავსდააღწერსზოგადიგანათლებისდაწყებითისაფეხურისათვისსაგნებისსაგანმანათლებლოსტანდარტს, სწავლებისრეკომენდაციებს, მიღწევების, ფუნქციურიუნარ-ჩვევებისადაცოდნისშემენისსაშუალებებს.
ალტერნატიულისასწავლოგეგმისმიხედვითთითოეულისაგანიისწავლებამრავალფეროვანისასწავლოსტრატეგიებისგამოყენებითდა მოსწავლესფუნქციურდააკადემიურცოდნასაძლევს.
ალტერნატიულისასწავლოგეგმაგანკუთვნილიამძიმეგონებრივიგანვითარებისდამრავლობითიდარღვევებისმქონემოსწავლეებისთვისროგორცსპეციალიზებულ, ასევეზოგადსაგანმანათლებლოსკოლაშისწავლისშემთხვევაშიდაასევე შინსწავლებისას.
ალტერნატიულისასწავლოგეგმის ფუნდამენტურიპრინციპია – შედეგზეორიენტირებამრავალფეროვანი, მოსწავლეზეფოკუსირებულისწავლებისფორმებისადასტრატეგიებისგამოყენებით.
გონებრივიგანვითარებისმძიმედამრავლობითიდარღვევებისმქონემოსწავლეებისსწავლებისასზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულებამულტიდისციპლინურიგუნდისდასკვნისსაფუძველზეხელმძღვანელობსალტერნატიულისასწავლოგეგმით.
ალტერნატიულისასწავლოგეგმაზოგადიდასპეციალიზებულიგანათლებისსფეროშიმოღვაწეყველასუბიექტსავალდებულებსუზრუნველყოსმძიმეგონებრივიგანვითარებისდამრავლობითიდარღვევებისმქონემოსწავლეთასწავლებისმაღალისტანდარტი, რომლისფუნდამენტურიპრინციპი (ეროვნულისასწავლოგეგმისმსგავსად) – სასწავლოშედეგებზეორიენტირებაა.
ალტერნატიულისასწავლოგეგმისგანხორციელებაზეპასუხისმგებელია:
ზოგადსაგანმანათლებლოსკოლაშისაგნისმასწავლებელიფსიქოლოგთანერთად, შინსწავლებისას – ყველაისმასწავლებელი, რომელიცშინსწავლებისპროგრამასახორციელებს.

ინდივიდუალურისასწავლოგეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწლია.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
4. სკოლა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.
6. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:
ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;

გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: საგნის მასწავლებელი, მშობელი და/ან ფსიქოლოგი, საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტი;
ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც;
ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.
7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ-ს ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს.
2. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან:
ა) სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი;
ბ) საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს;
გ) სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები;
დ) სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;
ე) საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სხვა სპეციალისტი.
3. ისგ ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე. ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევს დამრიგებელი.
4. ისგ ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ; ისგ ჯგუფის წევრები შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროებას, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებას და აუცილებელ რესურსებს.
5. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე ფსიქოლოგი/კლასის დამრიგებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.
6. სასწავლო წლის დასასრულს, ისგ ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან დაკავშირებულინფორმაციასდაანგარიშსწარუდგენსდირექტორს, პედაგოგიურსაბჭოსდამშობელს.

სსსმ მოსწავლისაკადემიურიმიღწევისშეფასება, დასწრებადაგაცდენები

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმირი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.
2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.

3. მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია:
ა) სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.
ბ) სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.
4. საბაზო საფეხურის სსსმმოსწავლის მიერსასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის შემთხვევაში, ის ინდივიდუალურისასწავლოგეგმისშესაბამისად, ექსტერნატისფორმით აბარებს გამოცდას.

სსსმ მოსწავლეთაშინსწავლება

1. იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.
2. მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
3. შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად იქნება მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლა დაადგენს განრიგს, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული საგნის მასწავლებელი და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ/ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი სკოლის მიერ შერჩეული ფორმატით.
4. შინ სწავლების პროცესში ჩართული იქნება სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.
5. შინ სწავლების პროცესში შესაძლებელის გამოყენებულ იქნეს ინტერნეტი და ვიდეოკონფერენციები.
6. სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის (გარდა ფიზიკური აღზრდისა (სპორტი)) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას.

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს:

- სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას.
- სკოლას აქვს პანდუსი, რომლის საშუალებითაც მათი ყოლის შემთხვევაში იოლად შეძლებენ გადაადგილებას და ურთიერთობას თანატოლებთან.
- სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- მასწავლებელს, მულტიდისციპლინურ გუნდთან შეთანხმებით, საჭიროებისამებრ, შეეძლება სსსმ მოსწავლეს შეუცვალოს გაკვეთილები ან შეუმციროს რაოდენობა.
- მასწავლებელს შეეძლება საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები;
- ცოდნის ხარისხის გაზრდის მიზნით, ჩაუტაროს დამატებითი მეცადინეობა, შეაფასოს ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით;

- სკოლა წაახალისებს მოსწავლეს, ზოგჯერ უბიძგებს კიდეც, გახდეს დამოუკიდებელი, რამდენადაც ეს მისთვის იქნება შესაძლებელი;
- სკოლა ჩამოუყალიბებს მოსწავლეს სხვადასხვა უნარს (კითხვის, წერისა და აზროვნების უნარები, რომელიც დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის არის საჭირო);
- ვიზუალური გზით სწავლებისას გამოყენებული იქნება ნახატმანიპულაციები, (მათემატიკის) დიაგრამები, ილუსტრირებული სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ფორმატები, სლაიდები და სხვა თვალსაჩინოებები;
- გამოყენებული იქნება სხვადასხვა თამაში სოციალური განვითარებისთვის;
- ექნებათ კომპიუტერის გამოყენების საშუალება;
- სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სსსმ მოსწავლის მშობელი.

- **სასწავლო დღის განრიგი, საგაკვეთილო განრიგი/განრიგები, გაკვეთილის/გაკვეთილების ხანგრძლივობა კლასების მიხედვით და სასკოლო კალენდარი.**

გაკვეთილების განრიგი (დღის რეჟიმი)

გაკვეთილი	დაწყება	დასრულება VII კლასი	დასვენება VII კლასი	დასრულება VIII კლასი	დასვენება VIII კლასი	დასრულება IX კლასი	დასვენება I X კლასი
I	09.30	10.15	5 წთ	10.15	5 წთ	10.15	5 წთ
II	10.20	11.05	10 წთ	11.05	10 წთ	11.05	10 წთ
III	11.15	12.00	10 წთ	12.00	10 წთ	12.00	10 წთ
IV	12.10	12.55	5 წთ	12.55	5 წთ	12.55	5 წთ
V	13.00	13.45	5წთ	13.45	5წთ	13.45	5წთ
VI	13.50	14.35	5წთ	14.35	5წთ	14.35	5 წთ
VII	14.40	15.25	------	15.25	-----	15.25	

1. სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტერს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ყოფს ზამთრის არდადეგები.

2. 2024-2025 სასწავლო წლის დაწყების თარიღია: 2024 წლის 16 სექტემბერი, ხოლო დასრულების - 2025 წლის 13 ივნისი;

3. 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრი მთავრდება 2024 წლის 27 დეკემბერს. მეორე სემესტრი იწყება 2025 წლის 13 იანვარს;

არდადეგები
27.12.2024 - 15.01.2025 - ზამთრის არდადეგები
08.03.2024 - 16.03.2025 - საგაზაფხულო არდადეგები

5. სასწავლო კვირა ხუთდღიანია.

6. სკოლაში გაკვეთილების ხანგრძლივობა განისაზღვრება შემდეგი სახით:

- VII-IX კლასებში გაკვეთილის ხანგძლივობაა 45 წუთი.